საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1020 2016 წლის 6 ივნისი ქ. თბილისი

საერთაშორისო კონკურსის „ალიანტეს“ ეროვნული დონის ფინალის ჩატარების მხარდასაჭერად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთაშორისო კონკურსის „ალიანტეს“ ეროვნული დონის ფინალის ჩატარების მხარდასაჭერად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ:

ა) უზრუნველყოს შესაბამისი სამხედრო ბაზის, თანამშრომლებისა და მატერიალური რესურსის გამოყოფა;

ბ) 2016 წლის ივნისში განახორციელოს კონკურსის მონაწილეთა/შესაბამის პირთა სამხედრო ბაზაზე კვებით უზრუნველყოფა, განთავსება და ტრანსპორტირება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**